
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ოფისში 2009 წლის 1 ივლისს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „ქართველი დევნილების ხვედრი: ჭირ-ვარამი, პრობლემები, იმელები“

ძირითადი მომხსენებლები:

მედეა ტურაშვილი – საერთაშორისო კრიზის ჯგუფი
მარინა ფონჩუა – იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
იულია ხარაშვილი – ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

მოდერატორი: გოგი გვახარია



გოგი გვახარია – დღევანდელ ჩვენს დისკუსიას ეწოდება „ქართველი დევნილების ზვედრი: ჭირ-ვარამი, პრობლემები, იმედები“. შევეცდებით გულწრფელად და სიყალბის გარეშე ვისაუბროთ. დევნილების თემით სპეკულირება კვლავ მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში. ამ თემით სპეკულირებენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები. დღეს ჩვენს მომხსენებლებთან ერთად შევეცდებით მართლაც რეალურ პრობლემებზე ვისაუბროთ, იმ პრობლემებზე, რომლებიც,

სამწუხაროდ, არ აისახება არც სახელისუფლო და არც ოპოზიციურ მედიაში.

პირველ რიგში სიტყვა მინდა გადავცე იმულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის, „თანხმობა“, წარმომადგენელს, ქ-ნ მარინა ფოჩხუას.

მარინა ფოჩხუა – მოგესალმებით. სამწუხაროდ, იმედი ნაკლებად არის დევნილთა შორის, უფრო ჭირ-ვარამზეა საუბარი. ჩვენი ასოციაცია 1996 წლიდან მუშაობს დევნილთა საკითხებზე და დინამიკაში საკმაოდ კარგად იცნობს მათ როგორც ყოველდღიურ, ისე გლობალურ პრობლემებს.

2008 წლის ომის მოვლენების შემდეგ აქტიურად ჩავერთეთ ახალი ტალღის დევნილებთან მუშაობაშიც. 2009 წლის მაისამდე დაკავებულები ვიყავით როგორც ამ პრობლემების კვლევით, ისე დევნილებს შორის ადვოკატირების განხრით. იმიტომ, რომ როგორც წესი, დევნილები უფრო ჩვიან და სახელმწიფოს ვალდებულებაზე საუბრობენ, მაგრამ მათ ავიწყდებათ საკუთარი ვალდებულებების შესახებ. გარდა იმისა, რომ რაღაც ეკუთვნით, მათ ვალდებულებებიც გააჩნიათ.

ძველი ტალღის დევნილებსა და ახალი ტალღის დევნილებს შორის შედარების გაკეთებისას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ აღიარო, რომ ახალი ტალღის დევნილებისთვის გაცილებით მეტი გაკეთდა. როგორ გაკეთდა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის, რომ გაცილებით მეტი გაკეთდა, ვიდრე 90-იანი წლების მეორე ნახევარსა და 2000 წლის დასაწყისში, ეს ცხადია. დღეს მე ვისაუბრებ იმ პრობლემებზე, რაც აქვთ ახალი ტალღის დევნილებს. რაც ლამაზად არის შეფუთული და რეალურად არ არის ისეთი ლამაზი, როგორც ეს უნდა, რომ ხელისუფლებას გვაჩვენოს; და იმაზე, თუ რა პრობლემები გამძაფრდა 90-იანი წლების დევნილებს შორის იმის გამო, რომ ყურადღება უფრო გადატანილი იყო ახალი ტალღის დევნილებზე.

რაზეც ვისაუბრებ, ეს არის 250-ზე მეტ დევნილთა ცენტრში ჩატარებული კვლევების შედეგი. ჩვენ ვატარებდით ორდღიან ადვოკატირების ტრენინგებს, რომლებიც მოიცავდა ამ ადამიანებთან ურთიერთობას ორი დღის მანძილზე, რათა მათ ესწავლათ რაღაც ჩვევები თავიანთი პრობლემების წინ წაწევისთვის. იმავედროულად ვიკვლევდით მათ პრობლემებსაც და ნახევარი დღე ეთმობოდა იურიდიულ კონსულტაციებს. კვლევები ჩავატარეთ როგორც დასავლეთ საქართველოს, ძირითადად, ზუგდიდის, ქუთაისისა და წყალტუბოს კომუნალურ ცენტრებში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს როგორც ახალ დასახლებებში, ისე ძველ კომუნალურ ცენტრებში.

ახლა უშუალოდ იმ პრობლემებზე ვისაუბრებ, რაც ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა. ეს პირველ რიგში პრივატიზაციის პროცესს ეხება. სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ ძალიან

ინტენსიურად მიმდინარეობს კომუნალურ ცენტრებში ფართის პრივატიზება. პირველი პრობლემა, რომელზეც მსურს თქვენი ყურადღების მიპყრობა, საპრივატიზაციო ფართის სიმცირეა. საქმე ის არის, რომ სახელმწიფოს მიერ არ არის განსაზღვრული ნორმატივები. დევნილი, რომელიც ცხოვრობს კომუნალურ ცენტრში, იკანონებს მხოლოდ იმ ფართს, რომელშიც რეალურად ცხოვრობს. ხშირად ეს არის 4-6 კვ. მეტრი. პრაქტიკულად, იქ ცხოვრება მას შემდეგ, როდესაც მათ შეღავათები აღარ ექნებათ, შეუძლებელია. რეალურად, ეს დაკანონება ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენი ოთახი აქვს დაკავებული დევნილს. ალბათ, აუცილებელია, კანონმდებლობით ან სამინისტროს დადგენილებით განისაზღვროს ამ საცხოვრებელი ფართის რაოდენობა.

მეორე პრობლემა, რომელიც პრივატიზაციას უკავშირდება, პრივატიზაციის უალტერნატივობაა. დევნილებს არ აქვთ ალტერნატივა არც მცირე ფართის, არც ავარიული შენობის შემთხვევაში. არც მაშინ, როდესაც დევნილს არ უნდა იქ ცხოვრება. ასეთ შემთხვევებში მათ არ სთავაზობენ არც ახალ შენობას, არც გაუმჯობესებულ პირობებს. მათ ეუბნებიან, რომ მისცემენ რაღაც კომპენსაციას, ისიც მხოლოდ რეესტრის მიერ დარეგისტრირებულ ადამიანებს. დანარჩენი ადამიანები კანონგარეშე რჩებიან. ჩვენ ვიცით, რომ ახლა ყველას აქვს ინდივიდუალური ნომერი. მაგრამ როდესაც რეესტრმა დაიწყო მათი დარეგისტრირება, რეგისტრირდებოდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც იმ დროს სახლში იმყოფებოდნენ. ოჯახები იზრდება, შვილები ქორწინდებიან, ყველანი რჩებიან ერთსა და იმავე ფართზე, და ცხადია, რომ იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს დადგენილება ნორმატიული ფართის შესახებ, პრობლემები მძარფდება.

რაც შეეხება სარემონტო სამუშაოების ჩატარებას პრივატიზაციის შემდეგ კომპაქტურ ცენტრებში: როგორც წესი, დევნილებს პირდებიან, რომ გაუკეთებენ რემონტს, ჩაუსვამენ ფანჯრებს, გამოუცვლიან კანალიზაციას, გადაუხურავენ შენობებს. თუ რომელიმე სამუშაო ჩატარდა პრივატიზაციის მერე, ეს შეიძლება ბედნიერებად ჩაითვალოს, იმიტომ, რომ როგორც წესი, თუ კანალიზაციის გამოცვლაა, ეს მხოლოდ სარდაფს ეხება და სართულებს შორის არ ცვლიან; თუ სახურავის გამოცვლაა, ფანჯრები აუცილებლად გამოუცვლელი რჩება; თავიდან ბოლომდე დასრულებული არც ერთი ცენტრი ჩვენ არ შეგვხვედრია. ხელშეკრულებაში, რომელსაც დევნილები ხელს აწერენ, არ არის იმის გარანტიები, რომ პრივატიზაციის შემდეგ სამინისტროს ან სხვა ვალდებული ორგანიზაციის მიერ რემონტი შესრულდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართის საბინაო ფართად გადაკეთებაც და გარემონტებაც აუცილებელი წინაპირობა უნდა იყოს ამ ფართის დაკანონებისთვის. იმიტომ რომ თავად დევნილს არ გააჩნია ამ ფართის გარემონტების საშუალება. პრივატიზაციის ხელშეკრულება, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციის პირობას.

ახლა დევნილებისთვის შეჩერებულია გადამისამართება. ეს სერიოზულ პრობლემას ქმნის გამოსახლებისა და პრივატიზაციის დროს, რადგან, როგორც ვიცით, დევნილების უმრავლესობა ცხოვრობს კერძო სექტორში, მაგრამ გაფორმებულები არიან სხვადასხვა ადგილას. მათი სურვილი, რომ დარეგისტრირდნენ იმ ადგილას, სადაც რეალურად ცხოვრობენ, ან შეიცვალონ მისამართი, ბოლო 2-3 თვის განმავლობაში, პრაქტიკულად, თითქმის შეუძლებელი ხდება და როდის განახლდება ეს პროცესი, უცნობია. ამაზე განცხადებები შედის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, მაგრამ მათზე პასუხი არ ჩანს.

ხშირი პრობლემაა დევნილებისთვის კომპაქტური ჩასახლების ცენტრის მეპატრონის დადგენა. როგორც წესი, ისინი არავის ბალანსზე არ ირიცხება – ასეთ პასუხს იძლევიან საჯარო რეესტრში. მოულოდნელად გამოჩნდება ხოლმე მეპატრონე, რომელსაც აქვს დაკანონების საბუთები და დევნილები ისევ ბედის ანაბარად რჩებიან. ისევ იწყება მოლაპარაკებები ახალ მეპატრონესთან, და პრაქტიკულად, ძალიან ბევრი საპრივატიზაციო ცენტრის საქმე ამ მიზეზით არის შეჩერებული. ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან

ინფორმაციის გამოთხოვა ძალიან ხშირად, დროში გაწევილი პროცესია. ის ათი დღე, რომელიც ამისთვის არის განსაზღვრული, ხშირად გამოიყენება იმისთვის, რომ ახალი მეპტრონე გამოჩნდეს. სამწუხაროდ, ჩვენ აღვწუხებით ასეთი ფაქტები.

ძალიან სერიოზული პრობლემა აღმოჩნდა სადავო ფართები. იმიტომ, რომ დევნილები აქირავებდნენ ან ყიდდნენ საცხოვრებელ ფართებს და ასეთ ფაქტებს დევნილთა და განსახლების სამინისტრო არ აკონტროლებდა. მათ ბალანსზე არ არის აყვანილი ის ფართები, რომლებშიც დევნილები ცხოვრობენ და რეგისტრირებულნი არიან. აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას ინდივიდუალური მიდგომა და ფაქტობრივი ჩასახლება აღირიცხოს.

აგრეთვე სერიოზული პრობლემები იყო ინდივიდუალურ გამრიცხველიანებასთან დაკავშირებითაც. ბევრ კომუნალურ ცენტრში, სადაც არჩევნების წინ დაიფარა დავალიანება, ახლა დავალიანება ისევ ირიცხება. ეს საკითხი ისევ აქტუალური გახდა და უკვე დაიწყო დენის გათიშვა. დევნილებს ხშირ შემთხვევაში აქვთ დაყენებული მრიცხველები, ოღონდ ისინი თავიანთი ნებით, „თელასის“ გვერდის ავლით აქვთ დამონტაჟებული. შესაბამისად, ისინი კანონიერად არ ითვლება.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა დევნილთა შორის ინფორმაციის ნაკლებობა. მათთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება გადაწყვეტილების მიმღები პირებისაგან. იმიტომ, რომ ხშირად ვრცელდება ისეთი რამ, რაც მერე არ მართლდება. აუცილებელია, ხელისუფლებამ დევნილებს მათთვის პრობლემურ საკითხებზე განმარტებები მისცეს. ამისთვის რაღაც ფორმა უნდა გამოინახოს. ჩემი ინფორმაციით, სამინისტროს უკვე აქვს დაბეჭდილი ასეთი სახის საინფორმაციო ბუკლეტები, მათში მართალია, ბევრი უზუსტობაა, მაგრამ მაინც წინგადადგმული ნაბიჯია და ის დევნილებს ინფორმაციის მიღების საშუალებას მისცემს. პრობლემაა ისიც, რომ სამინისტროში შეუძლებელია გადაწყვეტილების მიმღებ პირთან მოხვედრა, უზარმაზარი რიგებია მისაღებში, რაც უკმაყოფილებას იწვევს.

დევნილთა დიდ ნაწილს აქვს შიში, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული დახმარება მათამდე ვერ მიაღწევს. მათ იციან რომ დაიწყო პრივატიზაცია, უკვე მოხდა 300-მდე კომუნალური ცენტრის პრივატიზება. არსებობს შიში, რომ ეს პროცესი შეჩერდება და მათ არ იციან, რა იქნება ხვალ. ამ ფონზე კერძო სექტორში მცხოვრები დევნილები, პრაქტიკულად, უიმედონი არიან.

პრობლემებია ჯანდაცვის სამინისტროში ჯანდაცვის პოლისებთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სამედიცინო დაწესებულება უარს ამბობს ამ პოლისით მომსახურებაზე.

გოგი გვახარია – ახლა მოვუსმინოთ ქ-ნ მედეა ტურაშვილს.

მედეა ტურაშვილი – მე ყურადღება მინდა გავამახვილო დევნილების დაბრუნების პერსპექტივაზე. მოგეხსენებათ, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულია დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა. ამით გამოწვეული საფრთხე ხელს უშლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში. აგვისტოს ომის შემდეგ მიღებული დევნილთა ახალი ტალღა, რა თქმა უნდა, პრობლემას უქმნის როგორც მთავრობას, ისე მთელ ქვეყანას; მით უმეტეს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი 90-იანი წლების პერიოდში გადაადგილებული 200-250 ათასი დევნილი პირის პრობლემები.

მინდა ვისაუბრო კონკრეტულად იმ რეგიონზე, სადაც ასე თუ ისე არსებობს დევნილების ახლო მომავალში დაბრუნების პერსპექტივა. ეს არის ახალგორის რაიონი. მოგეხსენებათ, ახალგორის რაიონში ოსური ფორმირებები 16 აგვისტოს, რუსული ჯარი კი – 20 აგვისტოს შევიდა. სხვა სოფლებისგან განსხვავებით, ამ რაიონის მოსახლეობა არ აუწიოკებიათ. იყო ერთეული შემთხვევები, მაგრამ ეს არ ყოფილა ახალგორის დაცლის მთავარი მიზეზი. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ახალგორი რუსი და ოსი სამხედროების

შესვლამდე, დაბომბვის შიშით დატოვა. მოსახლეობის გამოსვლის პროცესი ახალგორიდან ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდა. ამ პერიოდში მათი გამოსვლის მთავარი მიზეზი უკვე გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია იყო. მარტო ოქტომბერში ახალგორი 7000 მაცხოვრებელიდან 1700-ზე მეტმა ადამიანმა დატოვა. მთლიანად ახალგორიდან გამოსულია 5500-მდე ადამიანი.

აგვისტოს შემდეგ ახალგორის რაიონს არ მიეწოდება გაზი. ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდებაც პრობლემატურია. საქართველოს მთავრობამ, სამწუხაროდ, ჯერაც ვერ გაარკვია, ვინ არის ამაში დამნაშავე. იანვარში თბილისიდანაც შეწყდა ხელფასებისა და პენსიების გაცემა იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც დარჩნენ ახალგორში. ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები გაესაუბრნენ როგორც წეროვანში ჩასახლებულ ახალგორიდან დევნილებს, ასევე იქ დარჩენილ ადამიანებს. ჩვენ არ მოგვეცა ახალგორში შესვლის საშუალება, მაგრამ მათ კი თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება. არც ამჟამად იქ მაცხოვრებელი მოსახლეობა და არც იქიდან დევნილი ადამიანები, არ ადასტურებენ ქართული მედიით გავრცელებულ ინფორმაციას ახალგორში მცხოვრებთა დატერორებისა და მათი იძულების შესახებ, აიღონ ოსური ან რუსული პასპორტები.

გოგი გვახარია – ხომ შეიძლება, რომ მათ ეშინიათ და ამიტომ ვერ საუბრობენ ამაზე?

მელა ტურაშვილი – მართალია, შეიძლება ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი, მაგრამ დევნილებს რატომ უნდა ეშინოდეთ? ახალგორში დარჩენილი მოსახლეობა ამბობს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების შემთხვევაში იქ წეროვანიდან დევნილების დაბრუნება შესაძლებელი იქნებოდა. წეროვანში მცხოვრები დევნილები ხშირად ჩადიან ახალგორში, მაგრამ მათი უსაფრთხოების დაცვის გარანტიები არ არსებობს.

საინტერესოა, რომ ჩვენთან საუბარში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა, რომელიც რამდენჯერმე იმყოფებოდა ახალგორში, დაადასტურა, რომ ახალგორის ამჟამინდელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მიმართა მათ თხოვნით, დახმარებოდნენ დევნილების დაბრუნებაში. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ძალიან კარგადაა, თუმცა, ჩემი აზრით, ახალგორი ის რეგიონია, სადაც შესაძლოა, დევნილები მალე დაბრუნდნენ. ამას ღია ადამინისტრაციული საზღვარი და მოსახლეობის ხელუხლებელი სახლებიც უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია ის, რომ იქაურ ქართველ და ოს მოსახლეობას შორის ურთიერთობა დიდად არ შეცვლილა. როგორც დევნილები, ისე ახალგორში დარჩენილი ადამიანები ამბობენ, რომ არსებობს რევანშისტული განწყობილება ახალგორში მცხოვრები ოსების მხრიდან, თუმცა პირად ურთიერთობებში არ ამჟღავნებენ აგრესიას. შესაბამისად, ძირითად პრობლემად რჩება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და უსაფრთხოება.

აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რომ ახალგორი არ გადაიქცეს მეორე „გალის რეგიონად“. ვგულისხმობ გალის რეგიონში მოსახლეობის სპონტანურ დაბრუნებას, შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გარეშე. ასეთ დაბრუნებას შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევა და ლეზინფორმაცია მოჰყვა, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის არ არსებობს ამ პრობლემის მოსაგვარებელი შეთანხმებული მექანიზმი. იმისათვის, რომ ასეთივე სიტუაცია არ განმეორდეს ახალგორშიც, საქართველოს ხელისუფლება უნდა შეეცადოს, საერთო ენა გამოიხოს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მოსახლეობის დაბრუნებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ეს უნდა მოხდეს ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში. ამავე ფორმატში მოხდა ინციდენტების პრევენციის მექანიზმის ინიცირება, თუმცა მას არავინ არ უყურებს სერიოზულად. წესით ყოველკვირეული შეხვედრები საქართველოს და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ შედგა. მაგალითად, 7

მაისის შეხვედრა იმ მიზეზით ჩაიშალა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ შეხვედრის ადგილზე.

ყველანი ვხედავთ, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკუთარ პოზიციებს აძლიერებს და 2008 წლის 8 სექტემბრის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევით რუსეთმა ვეტო დაადო გაეროსა და ეუთოს დამკვირვებელთა მისიების მანდატების გაგრძელებას საქართველოში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მოქმედების ვადა კი სექტემბერში იწურება და ჯერჯერობით გაურკვეველია, გაუგრძელებენ თუ არა მას მანდატს.

რაც შეეხება ჟენევის მოლაპარაკებებს, რომელსაც უკვე დისკუსიებს უწოდებენ და არა მოლაპარაკებებს, ამ ფორმატს ერთუზიანობით მხოლოდ ევროკავშირის წარმომადგენელი პიერ მორელი უყურებს. სხვა არავინ ამ მოლაპარაკებებს არ უდგება, როგორც კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმს.

გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ახალი რეალობიდან გამომდინარე ჟენევის ფორმატისა და პერსპექტივების გადასინჯვა უნდა მომხდარიყო. ეს განცხადება ამ ფორმატის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს.

რა უნდა გააკეთოს საქართველომ ამ ყველაფრის გათვალისწინებით? დამეთანხმებით, საქართველოს რუსეთზე ზეგავლენის მოხდენის მინიმალური საშუალება აქვს. ალბათ, ერთადერთი გამოსავალი ის არის, საქართველო დაეშუროს ჟენევის ფორმატის არსებობას, რომლის ფარგლებშიც იგი მოახერხებს, დააყენოს დევნილთა დაბრუნების საკითხი. პირველ რიგში ეს ახალგორისა და კოდორის რაიონებს ეხება, სადაც დევნილთა დაბრუნება ასე თუ ისე შესაძლებელია, და შეიმუშავოს უსაფრთხოების მექანიზმები. გაეროს დამკვირვებელთა გასვლამ საქართველოდან კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ პირდაპირი მოლაპარაკებები აუცილებელია. საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ღონეს უნდა მიმართოს, რომ დაარწმუნოს მოპირისპირე მხარე, რომ ის დაინტერესებულია რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებით.

რაც შეეხება დევნილების დაბრუნებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ახლო მომავალში ამის იმედი ცოტას გვაქვს. ამიტომ ასეთ ვითარებაში მთავრობისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ამ ადამიანებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა. ეს საკითხი კარგად უნდა იყოს გააზრებული და დაგეგმილი თემის მიხედვით. ქ-ნმა მარინამ პრივატიზაციის პრობლემებზე ისაუბრა. ჩვენც წავაწყდით ასეთ პრობლემებს. დევნილი მოსახლეობა, რომელიც აპირებს საცხოვრებელი ფართის პრივატიზებას, ხშირად, წაუკითხავად აწერს ხელს კონტრაქტს. პრივატიზაციის პირობების უცოდინრობამ მომავალში შეიძლება ბევრი ადამიანის უკმაყოფილება გამოიწვიოს.

ამასობაში, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ჩამოყალიბდეს მდგრად და დემოკრატიულ ქვეყნად, დემოკრატიული ქმედებებითა და ინსტიტუტებით. ამით ქვეყანა შეძლებს არ დაკარგოს საერთაშორისო კეთილგანწყობა და აფხაზი და ოსი ხალხისათვის შექმნას რუსეთის ავტორიტარული რეჟიმის ალტერნატივა საქართველოს სახით. ჩემი აზრით, ძალიან საინტერესოა, რომ „ინტერფაქსისთვის“ გუშინ მიცემულ ინტერვიუში სერგეი შამბამ განაცხადა, რომ აფხაზეთიდან გაეროს დამკვირვებელთა გასვლის შემდეგ, მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად, საჭიროა დიალოგის აღდგენა. ასეთ განცხადებებს საქართველომ, ალბათ შემხვედრი წინადადებებით უნდა უპასუხოს.

გოგი გვახარია – მოხარული ვარ, რომ ქ-ნი იუღია ხარაშვილი მობრძანდა. იმედი მაქვს, იგი უპასუხებს დასმულ შეკითხვებს. საუბარი ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ეხებოდა. ქ-ნმა მარინამ პრივატიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრა.

იუღია ხარაშვილი – მოგესალმებით. შევეცდები ვუპასუხო შეკითხვებს და ამავედროულად სამინისტროს ხელვაც გაგაცნოთ.

ვეთანხმები ქ-ნ მარინას, გაიზარდა დევნილთა ნაკადი, რომელიც ჩივილით მოდის სამინისტროში. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დაიწყო პრივატიზაციის პროცესი, დამტკიცდა სამოქმედო გეგმა, ჩნდება შეკითხვები როგორც ახალ, ისე ძველ დევნილებშიც (არ მომწონს ტერმინი „ძველი და ახალი დევნილები“, მაგრამ რადგან არ გვაქვს სხვა ტერმინები, მომიწევს მეც ამ ტერმინოლოგიით ვისაუბრო). ეს იმაზეც მიუთითებს, რომ სამინისტროში ამუშავდა პროგრამები. როდესაც თხუთმეტი წლის განმავლობაში პირველად იწყება რაღაცის გადალახვა, გაჩნდება პრობლემებიც და შეკითხვებიც. რაც უფრო მეტს გავაკეთებთ, მით მეტი შეკითხვა დაისმება. სამოქმედო გეგმა და სტრატეგია ჯერჯერობით არის ზოგადი დოკუმენტი. სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის დროს, რა თქმა უნდა, ბევრი გამოწვევა შეგვხვდება.

ძველ და ახალ დევნილებთან მიმართებაში, ჯერჯერობით განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. მაისში მიღებული სამოქმედო გეგმა ყველა დევნილს ეხება და არც ერთი დევნილი არ უნდა დარჩეს ამ პროგრამის მიღმა. დევნილთა საზოგადოებაში არსებობს შიში; ჩვენ ყველანი ტრავმირებულები ვართ პირველი და მეორე ომის შედეგებით. უნდობლობა საზოგადოებაში, მართლაც არსებობს. ამისი მიზეზი არა მარტო ის არის, რომ მთავრობა ცუდად მუშაობდა, არამედ სიტუაციის ცვალებადობა; ხშირად ისეთი გამოწვევების წინაშე ვდგებოდით, რომელთა დროულად გადაჭრაც შეუძლებელი ხდებოდა. პოზიტიურ მოვლენად მიმაჩნია აპრილში სამინისტროში დონორთა ჯგუფის შექმნა, რომელიც თანამშრომლობს სამინისტროსთან. ყველა საკითხი, რომელიც უკავშირდება განსახლების პრობლემას – ამ ეტაპზე ეს არის პრივატიზაცია – ერთობლივი გადაწყვეტილებებით წყდება. ამით მეტნაკლებად არის დაცული გამჭვირვალობა. ჩვენ შევეცდებით, სამოქალაქო საზოგადოებამაც მიიღოს მონაწილეობა ასეთ შეხვედრებში.

გულანდილად რომ გითხრათ, ჩემი აზრით, კიდევ უფრო მეტი პრობლემა გველოდება. ჩვენ ახლა პირველ ნაბიჯს ვდგამთ. ეს არის პრივატიზება იმ ადამიანებისთვის, რომელთა მიერ დაკავებული ფართი არ არის დავის საგანი. თუმცა, უკვე აქაც ჩნდება პრობლემები. ანუ, თუ ვცხოვრობდი ოთახში, რომელშიც არის 16 კვ.მ და ვკმაყოფილდებოდი ამით, იმიტომ, რომ ვფიქრობდი, რომ ეს დროებითი მოვლენა იყო, როდესაც მეუბნებიან, რომ ეს შესაძლოა, ჩემი სამუდამო საცხოვრებელი გახდეს, მე უფრო მეტს ვითხოვ. 4 ათასამდე ოჯახმა უკვე მიიღო მესაკუთრეობის სერტიფიკატი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. იმიტომ, რომ ადამიანს, როდესაც ხდება მესაკუთრე, ფსიქოლოგიაც ეცვლება. იმედი გვაქვს, რომ ის ფსიქოლოგია, რომელიც ჯერჯერობით არსებობს დევნილთა საზოგადოებაში, ნელ-ნელა შეიცვლება. ეს არის პოზიტიური მომენტი.

ნეგატიურ მომენტზეც მოგახსენებთ: ჩვენ უკვე გვაქვს რამდენიმე კომპაქტური ჩასახლების ცენტრი, რომელიც გადაცემულია კერძო მფლობელობაში. იქ თითოეულ მესაკუთრესთან საჭიროა მოლაპარაკება. როგორ წარიმართება ეს პროცესი, ჯერ ძნელი სათქმელია. იმიტომ, რომ ეს დამოკიდებულია არა მარტო თანხაზე, არამედ მესაკუთრეების კეთილ ნებაზეც. ეს გრძელი და ხანგრძლივი პროცესია.

დევნილთა საზოგადოებაში, რომელიც თექვსმეტი წლის განმავლობაში ელოდებოდა გადაწყვეტილებას, მოთმინების ფიალა უკვე სავსეა. ამ ადამიანებს აღარ შეუძლიათ კიდევ ელოდონ ერთი წელი გადაწყვეტილებების განხორციელებას. არადა, ცხადია, სამოქმედო გეგმა, რომელიც მილიონის მეოთხედზე მეტ ადამიანს მოიცავს, ერთბაშად ვერ შესრულდება. დევნილთა ახალ ნაკადში სულ 30 ათასამდე ადამიანი იყო და ბევრი მათგანი დღემდე ჯერ კიდევ არ არის დაკმაყოფილებული. ვეთანხმები ქ-ნ მარინას, ბევრი ნაკლის აღმოჩენა შეიძლება ახლად ამენებულ სახლებში. 38 ახალი დასახლება გვაქვს. ამ დროსთვის 4000-მდე კოტეჯი უკვე ამენებულია, 1500-მდე სახლი შევისყიდეთ, გავარემონტეთ, პრივატიზება ჩავატარეთ. ეს ყველაფერი ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და იმიტომ არის პრობლემებიც. მათ დასაძლევად სამინისტრო ახლა მსოფლიო ბანკთან ერთად მუშაობს. ყველა სამშენებლო კომპანიას აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომ ერთი წლის

განმავლობაში მშენებლობიდან გამომდინარე პრობლემებზე ისინი უნდა ყოფილიყვნენ პასუხისმგებლები. როგორც ჩვენი სამინისტროს, ისე სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ამოცანაა, რომ დავუშვავთ სამშენებლო კომპანიებს, რომ ყველა ის ნაკლი, რაც ახლად აშენებულ კოტეჯებში აღმოჩნდა, არა ექსპლუატაციის, არამედ მშენებლობის პრობლემებს უკავშირდება. ეს ძნელი გასაკეთებელი იქნება. შესაბამისი აქტები შედგენილია თითქმის ყველა სოფელში. მაგალითად, სოფელ შავშვებსა და ახალსოფელში აღმოჩნდა, რომ სასმელად უვარგისი წყალია. ამაზე ახლა ჯანდაცვის სამინისტროც მუშაობს. აქ მალე დამონტაჟდება ფილტრაციის მოწყობილობა. მოლაპარაკება მიმდინარეობს სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომლებიც ამზადებენ ასეთ ხელსაწყოებს. მთავარ პრობლემას ფინანსები წარმოადგენს. ერთი ხელსაწყო 4-5 ოჯახს აკმაყოფილებს, მაშინ როცა მარტო შავშვებში 177 ოჯახი ცხოვრობს.

რაც შეეხება ელექტროენერჯის მიწოდებას, შარშან ამ თემაზე სერიოზული მუშაობა ჩატარდა. მინისტრი თავად დადიოდა იმ დასახლებებში, სადაც იყო ყველაზე მეტი პრობლემა. ეს ეხება სენაკის კომპაქტურ ჩასახლებასაც. ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად ვცდილობთ, ვასწავლოთ, როგორ უნდა ისარგებლონ ზომიერად ელექტროენერჯით. როგორც იცით, თითო ადამიანისთვის თვეში სამინისტროს მიერ 100 კვ/საათი მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური იფარება. მარტო ძველი დევნილებისთვის ეს თანხა, ჯამში 20 მილიონს აღწევს. ახალი დასახლებებისთვის მხოლოდ ორი თვის განმავლობაში მილიონნახევარი ლარი იყო დასაფარი. ჩვენ ადამიანებს უნდა ვასწავლოთ ელექტროენერჯის ეკონომიურად მოხმარება. ის, რაც კეთდება სამინისტროს მხრიდან, არ შეიძლება არ დაგინახოთ.

ძალიან მნიშვნელოვანია მონიტორინგის საკითხი, რომელზეც უკვე ისაუბრეს ქ-ნმა მარინამ და ქ-მა მედეამ. სამოქმედო გეგმაშიც არის ერთი პუნქტი მონიტორინგზე. მონიტორინგის ჩატარება ჯერჯერობით ძირითადად სამინისტროს და სამთავრობო სტრუქტურებს ევალება. ასევე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას, უკვე აქვს ამ მიმართულებით პროექტი შემუშავებული. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მონიტორინგი იქნება მკაცრი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და ასახავს, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ მომენტებს. მათ გამოსწორებას კი, ერთობლივი ძალებით შევცვდებით.

არავინ ამბობს მთავრობაში, რომ პროგრამა ახალი დევნილებისთვის უკვე დასრულებულია. ახლა ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი პროექტი მოვაშინადოთ შემოსავლების გენერირების კუთხით. მთავრობის გადაწყვეტილება, რომ დაიწყოს პრივატიზაცია ზუსტად იმ კომპაქტურ ცენტრებში, სადაც ხალხი ცხოვრობს, გამოწვეული იყო გამოკითხვებით. კომპაქტურ ცენტრებში მცხოვრები ადამიანები უარს ამბობდნენ სხვაგან გადასვლაზე, რადგან ინტეგრირებულად გრძნობდნენ თავს იმ დგილებში, სადაც ისინი უკვე რამდენიმე წელია, ცხოვრობენ. მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ: გორში, უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსში აფხაზეთიდან გამოსახლებული რვა ოჯახი ცხოვრობს. მათ სამი ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილი შესთავაზეს, სადაც უკეთესი საცხოვრებელი პირობები ექნებოდათ, მაგრამ უარი თქვეს სხვაგან წასვლაზე. ადამიანები ცუდ პირობებსაც ვერჩევიან და გვიჭირს რაღაცის შეცვლა.

ძალიან დიდი პრობლემები იქმნება რეგიონებში; იქ, სადაც მიმდინარეობს ცენტრების რეაბილიტაცია. მაგალითად, ავიღოთ სენაკის სასტუმრო. საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებაშიც, მთავრობაშიც, ყველა ფიქრობს, რომ მინიმალური საცხოვრებელი სტანდარტები დაცული უნდა იყოს. მინიმალური სტანდარტის მიხედვით, ნაწილი ოჯახებისა, გადაყვანილი უნდა იყოს სხვა კომპაქტურ დასახლებაში. ეს პრობლემა რამდენიმე თვეა, გადაუწყვეტელია.

რაც უფრო მეტი იქნება რემონტი, რეაბილიტაცია და პირობების გაუმჯობესება, მით უფრო მეტი გამოწვევა გვექნება. ალბათ, ყველამ ერთად უნდა შევიძუშავოთ ერთობლივი ხედვა, საჭიროა ყოველთვიური შეხვედრები და კონსულტაციები დევნილებთან, იმიტომ, რომ

ოჯახის ხელმეორედ გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლების ტოლფასია. ამიტომ აუცილებელია გამოიძებნოს კომპრომისული გზები და ეს არის ჩვენი ერთობლივი ამოცანა.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომელზეც ქნმა მედემ ისაუბრა, ვეთანხმები ბ-ნ გოგის – დევნილი, რომელიც ჩადის ახალგორში, ბოლომდე სიმართლეს ვერ იტყვის, იმიტომ, რომ შეიძლება ის იქ აღარ შეუშვან. მე მქონდა შესაძლებლობა, ამ თემაზე მესაუბრა რუსული და ოსური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ჩვენ დავსვით საკითხი, რომ თუ იქ ადგილი აქვს მოსახლეობის უფლებების დარღვევას, კარგი იქნება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარდეს მონიტორინგი. ჩვენი სამინისტრო არ მონაწილეობს ჟენევის მოლაპარაკებაში, თუმცა, ჩემთვის ცოტა ძნელი იქნებოდა მოლაპარაკების წარმოება ასეთ ჩარჩოში, იმიტომ, რომ ჩემთვის ცნობილია, რომ ცხინვალში უკვე არის შემუშავებული პროგრამა, რომელიც დაბრუნებასაც გულისხმობს; მაგრამ პირობები იგივეა, რაც აფხაზეთში. ამ პროგრამის მიხედვით, იქ დაბრუნებულმა დევნილმა უარი უნდა თქვას საქართველოს მოქალაქეობაზე და აღიაროს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობა. როდესაც მოგვეცემა ამ დოკუმენტების წაკითხვის საშუალება, და გვეცოდინება მეტი იმ პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობს დღეს კონფლიქტის ზონებში, ალბათ, ასევე მოგვეცემა სამშვიდობო პროცესის გაგრძელების საშუალება.

გოგი გვანარია – ქ-ნო იულია, აქ ითქვა, რომ არ მოგვწონს ტერმინი „ძველი და ახალი“ დევნილები, მაგრამ ეს რეალობაა. საინტერესოა, პროგრამები, რომლებიც შემუშავდა ახალი დევნილების დასახმარებლად, გააუმჯობესებს თუ არა ძველი დევნილების მდგომარეობასაც? ხომ არ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ ხელისუფლებამ ახალი კონფლიქტის გამო ძველ დევნილებსაც მიაქცია ყურადღება?

იულია ხარაშვილი – სამოქმედო გეგმის პირველი ვერსია დამტკიცებული იყო 2008 წლის 30 ივლისს. მაშინ არ იყვნენ „ძველი დევნილები“, იყვნენ დევნილები. გასაგებია, რომ რადგან ერთ კვირაში დაიწყო ახალი კონფლიქტი, რომელიც გადაიზარდა რუსეთ-საქართველოს ომში და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციაში, მთავრობის დავალებით შემუშავდა განახლებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მთლიანად დევნილთა საზოგადოებას. ის პროექტები, რომლებიც ხორციელდებოდა აგვისტოდან ერთი თვის განმავლობაში და რომლებიც ფარავდა იმ პრობლემებს, რომლებიც დასმული იყო დონორთა მიმართვაში, გათვალისწინებული იყო ძირითადად ახალი დევნილებისთვის.

სექტემბრიდან დაიწყო ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც უკვე საუბარი იყო ძველ დევნილებზეც. დეკემბრის დასაწყისში მთავრობის სხდომაზე მიღებულ იქნა სტრატეგიის დამატება. მთავრობას და კერძოდ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება.

მედია ტურაშვილი – თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სამოქმედო გეგმა ერთი წლის დავიანებით მიიღეს. ის 2007 წლის ივლისში უნდა მიეღოთ. 2007 და 2008 წლის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, ალბათ, იმოქმედა გეგმის მიღებაზე. ცუდია, რომ პოლიტიკურმა პროცესებმა იმოქმედეს დევნილთა მიმართ სტრატეგიის შემუშავებაზე. ამასობაში სამინისტრომ სამი მინისტრიც გამოიცვალა.

მარინა ფოჩხუა – ძველი და ახალი ტალღის დევნილებს შორის კონფლიქტი ღიად გამოხატული არ არის, მაგრამ ძველი ტალღის დევნილებში იმატა უკმაყოფილებამ.

სალომე ჯაში, კინოდოკუმენტალისტი – ის ადამიანები, რომლებიც გამოვიდნენ ცხინვალის რეგიონიდან, მალევე ჩასახლდნენ ახალ დასახლებებში. სამინისტრო თუ ითვალისწინებს ამ ადამიანებისთვის პროფესიული გადამზადების კურსებს?

იულია ხარაშვილი – როდესაც დევნილთა ჩასახლება გადაწყდა სოფლის მეურნეობის, აგრარულ რეგიონებში, მხედველობაში მიღებული იყო ის მომენტი, რომ ეს ჯგუფი მანამდე ძირითადად სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული. მასწავლებლებს, ექიმებს, ექთნებს, პოლიციელებს, ვიდრე ისინი ახალ სამუშაოს მოძებნიდნენ, შეუნარჩუნდათ ხელფასი.

თითქმის ყველა ახალ დასახლებაში, წეროვანის გარდა, დევნილებს დაურიგდათ მიწის ნაკვეთები. მიწა დამუშავებული იყო, დათესილი იყო სიმინდი და სხვა კულტურები.

რამდენიმე ორგანიზაცია სამინისტროსთან ერთად მუშაობს დევნილთა დასაქმებაზე. გორში ხორციელდება სამი მსხვილი პროექტი, ერთ-ერთი, გაეროს განვითარების პროექტის ფარგლებში გორის უნივერსიტეტის ბაზაზე. ეს ცენტრი მუშაობს არა მარტო დევნილებისთვის, არამედ მთლიანად გორის რაიონის მოსახლეობისთვისაც.

USAID¹-ის დაფინანსებით ზიდისთავის კოლეჯის ბაზაზე ასევე მიმდინარეობს პროფესიული გადამზადების პროექტი. ამ პროექტის ფარგლებში 3 ათასამდე ადამიანი უნდა იყოს გადამზადებული. ამ მიმართულებით მუშაობს ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია. დევნილები ეუფლებიან კომპიუტერს და სწავლობენ ინგლისურ ენას. იგივე ხდება აღმოსავლეთ საქართველოშიც. ასეთი ცენტრი შექმნილია კოდაში, მცხეთა-მთიანეთში.

კიდევ ერთ საკითხზე მსურს თქვენი ყურადღების შეჩერება. მთავრობის თხოვნით, მსოფლიო სასურსათო პროგრამა დეკემბრის ბოლომდე და შესაძლოა, მთელი ზამთრის განმავლობაში, განაგრძობს სურსათის დარიგებას დევნილთა ჩასახლების პუნქტებში, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით, როგორ მოსავალს მივიღებთ.

სალომე ბაკაშვილი, IRD – სოფლის მეურნეობის საკითხს მინდა დავუბრუნდე. რამდენად სურს ამ ხალხს, რომლისთვისაც სოფლის მეურნეობა იყო ცხოვრების წესი, ინგლისურის და კომპიუტერის სწავლა, ან ასეთ გარემოში და ასეთი სტილით ცხოვრება? რა ოდენობის მიწა მიეცა თითოეულ ოჯახს, და რა კულტურები შესთავაზა სახელმწიფომ ამ ადამიანებს? ჩემი ინფორმაციით, მათ ვაშლის და ატმის ნერგები შესთავაზეს, რომელმაც მინიმუმ, სამი წლის შემდეგ შეიძლება მისცეს მათ ნაყოფი.

იულია ხარაშვილი – სამთავრობო პროგრამების გარდა იყო სხვა პროგრამებიც, რომლებსაც საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებდნენ. როგორც უკვე გითხარით, ორი დასახლების გარდა, მიწა ყველა სხვა დასახლებაში ჩასახლებულ დევნილებს დაურიგდათ. მიწის ნორმა არ იყო ერთნაირად განსაზღვრული ყველა სოფლისთვის, რადგან სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა შესაძლებლობა იყო. წეროვანში მიწის მიუცემლობის მიზეზი ის კი არ იყო, რომ ეს დასახლება ქალაქთან ახლოს არის, არამედ ის, რომ იქ ფიზიკურად არ იყო ამის საშუალება. მაგრამ რადგან ის თბილისთან ახლოს არის, რადგან შენდება რამდენიმე ქარხანა, დევნილ მოსახლეობას ექნება დასაქმების საშუალება.

ყველა სახლს აქვს თავისი საკარმიდამო, სადაც მთავრობის განკარგულებით გაცემული იყო სხვადასხვა სახის თესლი.

მარინა ფოჩხუა – ეს თესლი ხშირად უვარგისი იყო.

იულია ხარაშვილი – თესლი საერთაშორისო ორგანიზაციებმა გადმოგვცეს. რაც შეეხება ნერგების დარიგებას, ეს დაფინანსებული იყო შვეიცარიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს მიერ. ასეთი ინიციატივები ძალიან კარგია. მოსახლეობას თავადაც

¹ USAID – United States Agency for International Development
(http://www.usaid.gov/locations/europe_eurasia/countries/ge/)

მოჰქონდა ნერგები სხვადასხვა მეურნეობიდან. მართალია, ეს ნერგები მხოლოდ 2-3 წლის შემდეგ მოიტანს ნაყოფს, მაგრამ ამ ადამიანებისთვის მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისინი ჰქონდეთ.

რაც შეეხება გადაცემული მიწის ფართობს, ის 0,2 ჰექტარიდან 0,8 ჰექტარამდე მერყეობს. ზოგიერთ სოფელში ერთი ჰექტარიც იყო მიცემული. ეს შესაძლებლობით და მიწის განსხვავებული ხარისხით იყო განპირობებული. მაგალითად, სოფელ მეტეხში უფრო ნაკლები მიწა გაიცა, იმიტომ, რომ იქ უმაღლესი ხარისხის მიწაა. შავშებში სხვადასხვანაირი ნიადაგია. ზოგან ძალიან კარგი მიწაა, ზოგან ისეთი, მხოლოდ ხეხილი თუ გაშენდება.

ნანა ჩქარეული, კოალიცია „დევნილთა უფლებებისათვის“ – მე ვარ დევნილი ახალგორიდან. ვცხოვრობ წეროვანში და მაინტერესებს, იგეგმება თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ჩასახლებული პუნქტების ეკონომიკური განვითარების კვლევის ჩატარება. ამას იმიტომ ვკითხულობ, რომ წეროვანში დარიგდა თესლი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ მარილიანი ნიადაგია და კარგად არ იზრდება ბოსტნეული. დაარიგეს სასუქიც, მაგრამ მიწა არ გვქონდა და სასუქს რა აზრი ჰქონდა...

იულია ხარაშვილი – იმისათვის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა კოორდინირებულად იმოქმედონ, სამინისტროში შექმნილია სამეთვალყურეო ჯგუფი.

გოგი გვახარია – როგორც ჩანს, კომუნიკაცია მაინც არ არსებობს. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ სამინისტრო ემალება შეკითხვებს. ამიტომ ქ-ნ იულიასთან პრესკონფერენცია გამოგვივიდა.

იულია ხარაშვილი – ყველა ორგანიზაციას აქვს თავისი პროექტები. ახლა მიმდინარეობს ერთიანი ბაზის შექმნა, სადაც თავი მოეყრება ყველა ინფორმაციას. ის სექტემბრისთვის უკვე იარსებებს და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.

მარინა ფოჩხუა – შეკითხვა იყო დასმული, სჭირდება თუ არა დევნილებს ინგლისურისა და კომპიუტერის შესწავლა. სულ ახლახანს იყო შემოთავაზება ოჯახური ბიზნესის შესახებ. იმის გასაგებად, რა სჭირდებოდათ ყველაზე მეტად, ჩვენ მოვამზადეთ ოთხი კითხვისგან შემდგარი კითხვარი. უმრავლესობის პასუხი იყო „ფული“. მაგრამ როგორ მოიპოვონ იგი, ამის შესახებ პასუხი არავის ჰქონდა. ამიტომ სწავლება ამ ადამიანებს ნამდვილად სჭირდებათ. უნდა ვასწავლოთ, როგორ დადგინენ ფეხზე, რომ მუდმივად ბრინჯის და მაკარონის მოლოდინში არ იყვნენ.

სამი დღის წინ ხაშურიდან დამირეკა ერთმა ქალბატონმა, მითხრა, რომ აღარ შეუძლიათ ბრინჯის და მაკარონის ჭამა და დახმარება მთხოვა. ამ ადამიანებს სჭირდებათ იმის სწავლება, რა მოითხოვონ, რისი მოთხოვნის უფლება აქვთ, და ვის მიმართონ.

სალომე მახაშვილი – გული მწყდება, რომ ჩვენ ამ ადამიანებისგან ძალიან ცოტას ველით. 2008 წლამდე ამ ხალხს შესაბამისი უნარები ჰქონდა. ბრინჯის გარეშეც ცხოვრობდნენ და კარგად იცით, როგორი სახლ-კარი ჰქონდათ. ამ ხალხს უნარიც აქვს და ცოდნაც. იქნებ არ ვაკეთებთ აქცენტს მათ ცოდნაზე? ჯერ ხომ არ დავასახლეთ და მერე დავიწყეთ მიწის შესწავლა? იქნებ ჯერ ავაშენეთ სახლები და მერე ვკითხეთ ამ ხალხს, უნდოდათ თუ არა ამ მოუსავლიან მიწაზე ცხოვრება?

მარინა ფოჩხუა – ოცამდე შემთხვევა იყო, როდესაც არ უნდოდათ გორის რეგიონში დაბრუნება. მათ თბილისში უნდოდათ დარჩენა, იმიტომ რომ ფიქრობდნენ, რომ აქ უფრო

ადვილია ოჯახის რჩენა. ამაზე ვერც ვერაფერს ეტყვი. მე განათლებით მიკრობიოლოგი ვარ. თხუთმეტი წლის წინ ვერ ვიფიქრებდი, რომ იმას გავაკეთებდი, რასაც ახლა ვაკეთებ. ის, რაც მოხდა, მასწავლეს, აღმეჭვა მომხდარ ფაქტად. მოხდა ისე, რომ გამომაგდეს ჩემი სახლიდან, დაგვარვე ბევრი ახლობელი, ოჯახის წევრები. ამ ადამიანებს უნდა ვასწავლოთ, რომ ასეთი რეალობაა. არ შეიძლება მუდმივად მივტიროდეთ მომხდარს. არ შეიძლება დევნილი მუდმივად საცოდავი იყოს. მათ უნდა ისწავლონ საკუთარი თავის ფასი. უნდა აუხსნან, როგორია რეალობა.

დავით ახვლედიანი, გაზეთი „რეზონანსი“ – ქ-ნ იულიასთან მაქვს შეკითხვა. ძველი ტალღის დევნილებითვის დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილია 138 მილიონი. ამ საკითხზე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან მომიწია ინტერვიუზე მისვლა. ლაპარაკი იყო დევნილთა ერთ-ერთ კომპაქტური დასახლების ცენტრზე, რომლის მეპატრონის ვინაობა ყველასთვის უცნობია. მაინტერესებს, რა ვაკეთდა ამ თანხით ძველი დევნილებისთვის? როგორც ვიცი, ანალოგიური თანხა უნდა შემოვიდეს მომავალ წელსაც. თავად ეს დევნილები ამბობენ, რომ მათთან სამინისტროდან მიდიან ადამიანები და უკვე იმაზე ესაუბრებიან, რაც არ ყოფილა გამიზნული. „არამიანცი“ [საავადმყოფოს] დასახლებას გეულისხმობ. იქ დაახლოებით 145 ოჯახი ცხოვრობს, სულ 450 სული.

იულია ხარაშვილი – ამ ცენტრში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. მართლაც, პრობლემატური ცენტრი იყო, მაგრამ თქვენს კითხვაზე გამიჭირდება პასუხის გაცემა, იმიტომ რომ მე სხვა კუთხით ვმუშაობ სამინისტროში. თუ გაქვთ ინფორმაცია ბოლო გადაწყვეტილების შესახებ?

დავით ახვლედიანი – ჩემი ინფორმაციით, ეს ხალხი უნდა დაკმაყოფილდეს საცხოვრებელი პირობებით ქალაქის ფარგლებში. იმ ფართის დამტკიცებაზე, სადაც ახლა ცხოვრობენ, ეს ადამიანები უარს აცხადებენ, იმიტომ, რომ ეს შენობები ამორტიზებულია და მალე დაინგრევა.

იულია ხარაშვილი – საავადმყოფოს ტერიტორიაზე ისედაც შეუძლებელია ფართის დამტკიცება, იმიტომ, რომ ეს საავადმყოფოა. პრივატიზაციის კანონის მიხედვით, მოგეხსენებათ, არსებობს ობიექტების ჩამონათვალი, რომლის გადაცემაც დევნილებისთვის არ შეიძლება. ეს ეხება ჯანდაცვის და განათლების სისტემის შენობებს.

ამ კონკრეტულ ცენტრზე გადაწყვეტილება ჩემთვის უცნობია, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, თუ სად იხარჯება ეს თანხა, შემიძლია გითხრა, რომ ის კომპაქტურად ჩასახლების ცენტრების რეაბილიტაციას ხმარდება. ჩვენ სულ 1600-მდე კოლექტიური ჩასახლების ცენტრი გვაქვს და მათი უმრავლესობა ამორტიზებულია. ვიდრე მოხდება ამ ცენტრების პრივატიზება და საკუთრებაში გადაცემა, იქ უნდა მოწესრიგდეს პირობები. უნდა გამოიცვალოს კანალიზაცია, შეკეთდეს სახურავი, მოწესრიგდეს სარდაფები. თუ არის ამის შესაძლებლობა, უნდა მოხერხდეს გაზიფიკაციაც. ამას აკეთებს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ეს არის თანხის მიმღები ძირითადი ორგანიზაცია, რომელიც შემდეგ აცხადებს ტენდერს და ქირაობს სამშენებლო კომპანიას. ამ პროცესს მონიტორინგს უწევს ევროკომისია, სამინისტრო, და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

რაც შეეხება ჩასახლებას თბილისის ფარგლებში, მეეჭვება, რომ აქ მოხერხდეს მშენებლობა, იმიტომ რომ ეს აქ ძალიან ძვირი ჯდება. თუ იქნება, მაშინ გარეუბნებში. სამოქმედო გეგმის მიხედვით, მშენებლობები ძირითადად რეგიონებში იგეგმება.

ნიკა ჩალათაშვილი – „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც კონფლიქტის ზონებში სიტუაცია არ იყო დაძაბული, არსებობდა კონფლიქტების მოგვარების სამინისტრო.

ახლა არსებობს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. ეს რას ნიშნავს, სტრატეგიაა ასეთი, რომ აღარ ვიმუშაოთ ამ ხალხის საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე და აქ ვასახლებთ?

იულია ხარაშვილი – სახელმწიფო სტრატეგიაში ასახულია ორი ძირითადი ამოცანა: დევნილების მშვიდობიანი, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნება და ვიდრე დაბრუნება შესაძლებელი იქნება, მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. რადგან ჯერჯერობით დევნილთა დაბრუნება არ არის უსაფრთხო, მეორე ამოცანაზე ვიმუშაობთ.

მელა ტურაშვილი – კონფლიქტების მოგვარების სამინისტრო გადაკეთდა რეინტეგრაციის სამინისტროდ, ის არ გაუქმებულა. თუმცა იმაში გეთანხმებით, რომ რეინტეგრაციის სამინისტრო ამჟამად არ ვგათავაზობს კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით სახელმწიფოს ჩამოყალიბებულ გეგმას ან კონფეფციას.

გოგი გვახარია – მე არ მიმაჩნია დრამატულად ის, რომ ბოლო ხანებში აქტიურად აღარ საუბრობენ დევნილების დაბრუნებაზე, იმიტომ, რომ როგორც უკვე ვთქვი, ეს თემა მუდმივად იყო სპეკულაციის საგანი როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციური პარტიებისთვისაც პოლიტიკური ქულების მოსაგროვებლად. ამ ხალხს პირველ რიგში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სჭირდებოდა.

რადგან ქ-ნი იულია ხელისუფლებაში არასამთავრობო სექტორიდან არის მისული, ამას მე ხელისუფლების პოზიტიურ ნიშნად აღვიქვამ. ჩემი აზრით, დაახლოებით ათი წლის წინ რომ გამართულიყო დისკუსია დევნილებისთვის დახმარების თაობაზე, საუბარი იქნებოდა კორუფციაზე და იმაზე, რომ მათი დახმარებისთვის გამოყოფილ თანხას ვიღაც იღებდა ჯიბეში. დღეს, მიხარია, რომ ასეთი პრეტენზია აღარ გამოითქმება ჩვენი მომხსენებლების მიერ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ პატარა პროგრესი ჩვენს ქვეყანაში არის.

ანა ქოჩუა, ახალგაზრდული ორგანიზაცია “პირველები” – მაინტერესებს, კოდორის ხეობიდან დევნილი ადამიანების ბედი. სად იმყოფება ეს ხალხი ამჯერად და როგორია მათი დაბრუნების პერსპექტივა? ჩვენ ვიცით, რომ ეს ადამიანები დაბომბვის გამო არ წამოსულან იქიდან.

იულია ხარაშვილი – ჩემი ინფორმაციით, რამდენიმე ოჯახი დაბრუნდა კოდორის ხეობაში, მაგრამ შემდეგ ისევ წამოვიდნენ, იმიტომ, რომ იქ მათი უსაფრთხოება არ არის დაცული. კოდორის ხეობა ომის დროს დაიბომბა. ამას არ ჰქონია მასიური ხასიათი, მაგრამ საქმე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამდე არ უნდა მიგვეყვანა.

ეს ადამიანები კოდაშიც არიან ჩასახლებულები, თეთრიწყაროშიც. ყველა ოჯახთან მიმდინარეობს მუშაობა დასახმარებლად.

მელა ტურაშვილი – კოდორის ხეობაში დასასვენებლად ვიმყოფებოდი, იქ ნათესავები არ მყავს. მაგრამ ამასწინათ, ომის შემდეგ, თბილისში შემხვდა ადამიანი, რომლის სახლშიც მქონდა ბინა ნაჭირავები და გამოვკითხე მდგომარეობის შესახებ, და აპირებდნენ თუ არა დაბრუნებას. ამ ადამიანმა მიპასუხა, რომ კოდორის ხეობაში მხოლოდ კვიციანის ნაცნობებს აბრუნებდნენ. ეს სიტყვები გარკვეული მინიშნებების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

თაკო თოლორდავა, სტუდენტი – მეც მსმენია კვიციანის ინიციატივის შესახებ, დევნილები დაბრუნდნენ კოდორის ხეობაში. მათ ეუბნებიან, რომ თუ ექნებათ დაბრუნების სურვილი, სახლებს დაახვედრებენ.

ინა ინარიძე, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი – თქვენ თქვით, რომ ახალგორში შესაძლებლად მიგაჩნიათ დევნილების დაბრუნება და რომ მათაც აქვთ დაბრუნების სურვილი. გაესაუბრეთ ამ ადამიანებს? მართალია, ზაფხულში ქალები და ბავშვები დროებით ჩავიდნენ თავიანთ სოფლებში, მაგრამ მოზრდილი ასაკის მამაკაცები იქ არ ჩასულან, იმიტომ რომ არის შიში, იგივე არ განმეორდეს, რაც გალში. ეს ეხება პასპორტების საკითხსაც.

ქ-ნ იულიასთან მაქვს შეკითხვა ფრეზეთის დასახლების შესახებ, სადაც ძირითადად ახალგორიდან დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს. ეს ადამიანები მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას ეწეოდნენ. ზოგიერთმა, როგორც ჩემთვის ცნობილია, საკუთარი ნახირის გადაყვანაც მოახერხა. სახელმწიფო დაეხმარება მათ პირუტყვით, თუ იქიდან გადმოიყვანენ?

იულია ხარაშვილი – იმისთვის, რომ ამ ხალხმა პირუტყვი იყოლიოს, სჭირდებათ ბოსელი და საკვები საქონლისთვის და საძოვარი. თავიდან ამ მოსახლეობას მხოლოდ სახლები აუშენეს. სამინისტრო ახლა მუშაობს იმაზე, რომ ყველა დასახლებაში გაკეთდეს ჭიშკრები და სათავსოები, საქათმეები. ერთი შეხედვით, ეს თითქოს არაფერია, საქათმისთვის რამდენიმე ფიცარია საჭირო, მაგრამ რომ დავთვალეთ, ჯამში ყველა ოჯახისთვის საქათმის აშენებას მილიონნახევარი ლარი სჭირდება. ამ საკითხზე ვმუშაობთ პოლონეთის მთავრობასთან, რომელიც დახმარებას დაგვპირდა. თუმცა იმ თანხით, 60 ათასი ლარით, რასაც ისინი გვთავაზობენ, საქათმეების მხოლოდ ერთ სოფელში აშენებაა შესაძლებელი.

თაკო თოლორდავა – მე ძველი ტალღის დევნილი ვარ. მთავარ პრობლემად ინფორმაციის, ურთიერთობის და ყურადღების ნაკლებობა მიმაჩნია. მთავრობასაც და ოპოზიციასაც მხოლოდ არჩევნების დროს ვახსენებდით.

მაინტერესებს, თავად დევნილების აზრი თუ იცით პრივატიზაციაზე, მათთან თუ გისაუბრიათ ამ თემაზე. ვისაც არ სურს ერთი ოთახის დაკანონება, რას სთავაზობს სანაცვლოდ სახელმწიფო?

რანდენად მართებულად მიგაჩნიათ დღეს სოფელში იმ ადამიანების დაბრუნება, რომლებიც უკვე თხუთმეტი წელია, აქ ცხოვრობენ და მუშაობენ?

იულია ხარაშვილი – მე მოგახსენეთ, რომ ჩვენ ვითვალისწინებთ გამოკითხვების შედეგებს. ასეთი გამოკითხვა რამდენიმე კოლექტიური ჩასახლების ცენტრში ჩატარდა. ქალაქში ჩასახლებული ბევრ ადამიანი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ისევე ქალაქში, იქ დარჩენას არჩევს.

ამ საზოგადოებაში წლების განმავლობაში იყო დისკრიმინაცია: ადამიანები, რომლებიც კომპაქტურ ცენტრებში ცხოვრობდნენ, ბევრი სახის დახმარებას ღებულობდნენ, მაშინ როცა, კერძო სექტორში ჩასახლებული ადამიანები არ იღებდნენ ასეთ დახმარებას. მიტომ, ახლა მთავრობამ სპეციალურად დაგეგმა ამ ადამიანებისთვისაც დახმარების გაწევა. ჩვენ ვცდილობთ მინიმუმამდე დავიყვანოთ ეს დისკრიმინაცია.

ადამიანებს, რომლებიც უარს იტყვიან იმ ოთახის პრივატიზებაზე, სადაც ცხოვრობენ, მთავრობა შესთავაზებს რამდენიმე სხვა საშუალებას, და მათგან იქნება რაღაც ამოსარჩევი. მაგრამ ვერ შეგპირდებით, რომ ყველა ოჯახი იმით იქნება დაკმაყოფილებული, რასაც თავად ისურვებს.

არჩილ გოგობე – როგორც ცნობილია, დევნილების ნაწილი უარს ამბობს როგორც თავიანთი საცხოვრებელი ფართის პრივატიზებაზე, ასევე საკომპენსაციო თანხაზე, 10 ათას ლოლარზე. კონკრეტული გეგმა თუ არის ამ დევნილების მიმართ? ჩემი შეკითხვა ეხება როგორც ძველ, ისე ახალ დევნილებს.

იულია ხარაშვილი – თანხის მიცემა ძველი დევნილებისთვის გათვალისწინებული არ ყოფილა. თანხა შეთავაზებული იყო მხოლოდ აგვისტოს ომის შემდეგ დევნილი მოსახლეობისთვის, გამონაკლისის სახით. კანონის მიხედვით, მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს დევნილი თავშესაფრით. მაგრამ ზოგი ამბობს, რომ მას არ სჭირდება თავშესაფარი. „კომპენსაცია“ არ არის სწორი ტერმინი. ეს არის ფინანსური დახმარება. როდესაც „კომპენსაციაზე“ ვსაუბრობთ, დევნილი ამ სიტყვაში მოიაზრებს იმ ქონების ანაზღაურებას, რასაც იგი ფლობდა აფხაზეთში ან ცხინვალის რეგიონში. ამ თანხას ჩვენ იმიტომ ვაძლევთ მას, რომ დღევანდელი საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესოს. საკომპენსაციო თანხაზე მომავალში უნდა იყოს საუბარი.

აღამიანმა, ან ოჯახმა, რომელიც ბინაზეც, კოტეჯზეც და ფინანსურ დახმარებაზეც უარს ამბობს, ალბათ უნდა გააგებინოს მთავრობას, სამინისტროს, რას მოელის მათი მხრიდან.

– რა შეიძლება იყოს ამ უარის მიზეზი?

იულია ხარაშვილი – არიან აღამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ არაფერი უნდათ თავიანთ სახლ-კარში დაბრუნების გარდა. ეს ამ ეტაპზე ჩვენთვის შეუძლებელია, იმიტომ რომ არ ვაკონტროლებთ იმ ტერიტორიას და იქ მათი უსაფრთხო დაბრუნებისთვის პირობები არ არსებობს.

– ხშირად პრივატიზაციაზე უარის მიზეზად ფართის ნაკლებობა სახელდება. ეს აღამიანები ამბობენ, რომ 15 კვ. მეტრში შვიდი სული ცხოვრობს, ათი ათას დოლარზე კი იმიტომ ამბობენ უარს, რომ ამ თანხით სახლს ვერ იყიდნიან და მათთვის გაუგებარია, რისთვის აძლევენ ამ თანხას.

იულია ხარაშვილი – ვიმეორებ, თანხა გადაეცემა მხოლოდ ახალ დევნილებს, პრივატიზაცია კი, კომპაქტურ დასახლებებში მიმდინარეობს მხოლოდ ძველი დევნილებისთვის. ეს ორი სხვადასხვა პროგრამაა.

სალომე მახაშვილი – რის საფუძველზე გადაწყდა გადამზადების კურსების შერჩევა. თუ ჩატარდა ამისთვის სპეციალური კვლევა?

თქვენ საძოვრები ახსენეთ, მაინტერესებს, კონფლიქტი ხომ არ ყოფილა საძოვრების გამო დევნილებსა და ძველ მოსახლეობას შორის? როგორ რეგულირდება ეს საკითხი?

იულია ხარაშვილი – ეს საკითხი თემთა შორის დიალოგის გზით უნდა მოგვარდეს. მართალი ბრძანდებით, ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. ვერ ვიტყვი, რომ კონფლიქტის, მაგრამ უკმაყოფილების მიზეზი შეიძლება იყოს.

კვლევა სამივე ახალ დასახლებაში ჩავატარეთ. ყველამ გვიპასუხა, რომ ჯერ სათავსოები სჭირდებათ. იმ შემთხვევაში, თუ ექნებათ საქათმეები, მთავრობა დევნილებს ფრინველს უფასოდ გადასცემს.

მარინა ფოჩუა – ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში დიალოგი მთავრობასა და არასამთავრობო სტრუქტურებს შორის ნამდვილად გაჩნდა. ჩვენ გვისმენენ და იღებენ ჩვენგან კონსულტაციას. ჩვენს ორგანიზაციაში შევქმენით სპეციალური კომისია, რომელიც რამდენიმე თვეში ერთხელ იკრიბება. ამ შეკრებებში მონაწილეობენ სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, ის აღამიანები, ვინც კავშირში არიან გადაწყვეტილების მიღებასთან. ეს შეხვედრები იძლევა იმის საშუალებას, რომ რეალური რეკომენდაციები მივაწვდინოთ იმ აღამიანებს, ვისაც შეუძლია რაღაცის გაკეთება.

ჩვენი ორგანიზაცია დიდი ხანია მუშაობს დევნილთა პრობლემებზე. ჩვენ გვაქვს სუთი ფილიალი და ვმუშაობთ როგორც ახალი, ისე ძველი ტაღლის დევნილებთან. გარდა იმისა, რომ ვამზადებთ გეგმიურ კვლევებს, დევნილების ყოველდღიური ცხოვრების გაცნობაც გვაძლევს იმის საშუალებას, გავიგოთ, თუ რა სჭირდებათ ამ ადამიანებს ყველაზე მეტად. ჩვენ სისტემატიურად ვმუშაობთ შავშვებში, ხურვალეთში, მეტეხში, კოდაში, გარდაბანში.

გოგი გვანარია – დიდი მადლობა. ჩვენ განსაზღვრული გვქონდა, დღეს სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე გვესაუბრა, იმიტომ, რომ სწორედ ამ თემაზე ძალიან ცოტას საუბრობენ. მაგრამ, როგორც ჩანს, მანაც ძალიან დიდია ამ თემის პოლიტიკურ ჭრილში განხილვის სურვილი. ჩვენ შევეცდებით, ვისაუბროთ დევნილთა დაბრუნების პოლიტიკაზე, ხოლო თუ ეს პოლიტიკა აღარ არის, ამის მიზეზზეც.

ირის კემპე, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს დირექტორი – მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან მობრძანებისთვის. მადლობა ქ-ნ იულიას, რომ მოახერხა ჩვენთან მოსვლა. დიდი მადლობა ასეთი კონსტრუქციული და საინტერესო დისკუსიისთვის. ჩვენ შეგვექმნა სრული სურათი არსებული სიტუაციის შესახებ.

მართალია, ამ ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილ ერთ-ერთ ფოტოზე საათი ჯერ იგივე წერტილზეა გაჩერებული, მაგრამ ის, რომ დავიწყეთ ამ თემაზე საუბარი, უკვე რალაცას ნიშნავს და კარგის მომასწავებელია.

